ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

საუნივერსიტეტო სერვისების განვითარების წესი

1. საუნივერსიტეტო სერვისების განვითარების წესი განსაზღვრავს უნივერსიტეტის მიერ სტუდენტებისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შეთავაზებული სერვისების შეფასების და მათი განვითარების მიზნით გადაწყვეტილებების მიღების პროცესს;
2. სტუდენტებისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შეთავაზებული საუნივერსიტეტო სერვისების შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ და წარმოადგენს მის მიერ განხორციელებული სისტემური კვლევების ნაწილს[1].
3. აკადემიური და მოწვეული პერსონალის საუნივერსიტეტო სერვისებით კმაყოფილების კვლევა ხორციელდება ყოველწლიურად, შემოდგომის სემესტრის განმავლობაში;
4. სტუდენტების საუნივერსიტეტო სერვისებით კმაყოფილების კვლევა ხორციელდება ყოველწლიურად, გაზაფხულის სემესტრის განმავლობაში;
5. ამ წესის მე-3 და მე-4 პუნქტებით განსაზღვრული საუნივერსიტეტო სერვისებით კმაყოფილების კვლევების დასრულების შემდეგ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შესაბამისი კვლევის ანგარიშებს წარუდგენს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს/სკოლას, ადმინისტრაციულ და დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს და საუნივერსიტეტო სერვისების განვითარების საბჭოს;
6. ამ წესის მე-5 პუნქტით განსაზღვრული ფაკულტეტი/სკოლა და სტრუქტურული ერთეულები კვლევის შედეგების საფუძველზე განსაზღვრავენ მათ მიერ სტუდენტებისთვის, აკადემიური და მოწვეული პერსონალისთვის შეთავაზებული სერვისების გაუმჯობესების საჭიროებებს, განსახორციელებელ აქტივობებს და საკუთარ მოსაზრებებს წარუდგენენ არაუგვინეს 2 კვირისა საუნივერსიტეტო სერვისების განვითარების საბჭოს;
7. საუნივერსიტეტო სერვისების განვითარების საბჭო შედგება რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, მათი მოადგილეებისა და იურიდიული სამსახურის უფროსისგან. საბჭოს კონსულტირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური;
8. საბჭო განიხილავს ფაკულტეტის/სკოლის და სტრუქტურული ერთეულის მიერ წარმოდგენილ მოსაზრებებს და შენიშვნების შემთხვევაში, უბრუნებს შესაბამისად, ფაკულტეტს/სკოლას და სტრუქტურულ ერთეულს დამატებითი მოსაზრებების წარმოსადგენად.
9. კვლევის შედეგებისა და ფაკულტეტების/სკოლების/სტრუქტურული ერთეულების მიერ წარდგენილი მოსაზრებების საფუძველზე სერვისების განვითარების საბჭო განსაზღვრავს პრიორიტეტულ საჭიროებებს და იღებს გადაწყვეტილებას სერვისების განვითარებისთვის განსახორციელებელი აქტივობების შესახებ;
10. საბჭოს გადაწყვეტილებების საფუძველზე, ქვემდებარეობის მიხედვით გამოიცემა რექტორისა და/ან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სამართლებრივი აქტი, რომელიც წარმოადგენს კონკრეტულ

---

[1] იხ. ილიას სახელმწიფო უნივერისტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია

საკითხთან დაკავშირებით მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას და რომელშიც აღწერილია მიღებული გადაწყვეტილების შინაარსი;

11. საუნივერსიტეტო სერვისების განვითარების მიზნით ფაკულტეტის/სკოლის და სტრუქტურული ერთეულის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ ანგარიშგება ხდება ყოველწლიურად ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე და აისახება მის წლიურ ანაგრიშში.